

გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად (სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიმოხილვა)

ევა გოცირიძე

*სამართლის დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი*

საკვანძო სიტყვები: სასამართლოს კრიტიკა, გამოხატვის
თავისუფლება, სასამართლოსადმი უპატივცემულობა

შესავალი

საკითხი იმის შესახებ, რატომ შეიძლება გამოხატვის თავისუფლება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად შეიზღუდოს, აქტუალურიც არის და საკმაოდ პრობლემატურიც ჩვენს ქვეყანაში. ალბათ რთულად წარმოსადგენია, რომ ჩვენი საზოგადოება, ზემოაღნიშნული მიზეზების დასაცავად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უჭრდეს მხარს. ამგვარ დამოკიდებულებას მრავალი მიზეზი აქვს.

პირველი, ესაა გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც მას ნამდვილად გააჩნია. იგი ძალიან ძვირფასია ჩვენი საზოგადოებისათვის, რომელმაც ტოტალიტარიზმის ეპოქა გაიარა, ახლა კი ცდილობს, ბოლო-

მდე შეიგრძნოს თავისუფლება და მისი ყოველგვარი გამოვლინება, ისარგებლოს თავისუფლების სიკეთით და, უწინარესად, სიტყვის თავისუფლებით, რომელიც სამართლიანად განიხილება სხვა უფლებების დაცვის საშუალებად.¹ სასამართლოს ავტორიტეტთან მიმართებით, ადამიანთა უმეტესობა, სავარაუდოდ, შემდეგ ლოგიკას იყენებს: გამოხატვის თავისუფლება პრობლემების სააშკარაოზე გამოტანის საშუალებაა. სასამართლოშიც არსებობს სერიოზული პრობლემები და მათზე საუბარი და, საჭიროების შემთხვევაში, მწვავე კრიტიკაც ნებადართულია. გარდა ამისა, სასამართლომ ხალხის ნდობა საკუთარი გადაწყვეტილებებით უნდა მოიპოვოს და არა მოსამართლეების კრიტიკის აკრძალვით.

ზემოთ მითითებულ აზრთა წყობაში ნამდვილად არის სალი აზრი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საკითხი საერთოდ არ დგას ამგვარად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი, რომელიც საერთო ევროპულ სტანდარტს განასახიერებს, სასამართლოს კრიტიკას კი არ კრძალავს, არამედ ზომიერების დაცვას მოითხოვს, რათა კონკრეტულ შემთხვევებში, ზღვარგადასულმა, უსაფუძვლო კრიტიკამ, ანდა კრიტიკის შეუფერებელმა ტონალობამ უფრო მეტი ზიანი არ მოიტანოს, ვიდრე სიკეთე.

მეორე ფაქტორია თავისუფლებით სარგებლობის კულტურის ნაკლებობა. ყველაზე მეტად, ეს დეფიციტი სწორედ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის კულტურასთან მიმართებაშია შესამჩნევი. საზოგადოების დიდ ნაწილს გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტურად დაცულ თავისუფლებად წარმოუდგენია.² ზოგიერთს,

სამწუხაროდ, გამოხატვის თავისუფლება ცილისწამების, შეურაცხყოფის, უხამსობის, უზრდელობის ან სიძულვილის ენის გამოყენების თავისუფლებად წარმოუდგენია. ეს იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში საერთოდ არა აქვთ გააზრებული, კერძოდ რის გამოა მიჩნეული გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიის ბურჯად, რატომაა მისი დაცულობის სტანდარტი ძალიან მაღალი და მის ვულგარულ გაგებას ემხრობიან. საქართველოში გვაქვს ვითარება, როდესაც საზოგადოებაში არსებული თავისუფლების ხარისხი მნიშვნელოვანდამ ადემატება ამ საზოგადოების სამართლებრივი კულტურის დონეს. თავისუფლებას დაწაფებულმა საზოგადოებამ, რომელსაც თავისუფლების პირობებში ცხოვრების ძალზე მცირე გამოცდილება აქვს, ჯერ კიდევ ვერ ისწავლა თავისუფლების ფარგლების გათვალისწინება, სხვისი თავისუფლების პატივისცემა და უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავისუფლებისაგან განუყოფელ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, რომლის გარეშეც თავისუფლება ძალადობად, ექსცესიად, სხვათა უფლებებში ჩარევად, სხვისი ინტერესების უგულვებელყოფად და ქაოსად გადაიქცევა. სტრასბურგის სასამართლოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოსამართლე ჯოვანი ბონელო სამართლიანად აღნიშნავდა: „გამოხატვის თავისუფლება შებოჭილია ფარგლებითა და მიჯნებით, რომელთა გადალახვაც წარმოუდგენელია ტოტალური თავისუფლების სახელით. კარგად მოწესრიგებული საზოგადოება ვერაფრით შეძლებს თავიდან აიცილოს გარკვეული შეზღუდვები“.³

არაერთი მეცნიერი თუ პრაქტიკოსი იურისტი საუბრობს იმაზე, რომ გამოხატვის თავისუფლებას გააჩნია სხვის ინტერესებში ენერგიული შეჭრის დიდი პოტენცია. სწორედ ამ უნარის გამო აღნიშნავენ იმასაც, რომ მასმედიას ძალუძს სხვა ინტერესების ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი დარღვევა.⁴

1 აღიარებულია, რომ გამოხატვის თავისუფლება ცენტრალურ როლს ასრულებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვაში. იხ. წიგნი: D.G. Harris; M.O' Boule; C.Warbrick, 1995, Law of the European Convention on Human Rights; Butterwarths, London, Dublin; Edinburg; გვ. 372.

2 როგორც ლაუსონი და სერმერსი მიუთითებენ, ძალიან რთული იქნებოდა, უფლებები ოდესმე აბსოლუტურად მიგვეჩინა. ადამიანის ნებისმიერმა უფლებამ, შეიძლება უკან დაიხიოს, როდესაც იგი კონფლიქტში აღმოჩნდება სხვა ძირითად უფლებასთან. იხ. წიგნი : R. A. Lawson & H.G. Schermers, 1999, Leading cases of the European Court of Human Rights (sec.ed);.გვ. 37.

3 წიგნი: Bonello, Giovanni, 2004; Histories of Malta – Reflections and Rejections, Volume V, გვ.32.

4 D.G. Harris; M.O' Boule; C.Warbrick, ზემოთ მითითე-

ამ თვალსაზრისით, პრობლემატურია სასამართლოს კრიტიკის თემა, რომელიც სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ლეგიტიმურ ინტერესს შეიძლება უქმნიდეს საფრთხეს და, მეორე მხრივ, სასამართლო საქმეების მედიაში გაშუქების თემაც, რაც სასამართლოს მიუკერძოებლობის კუთხით, რისკებს წარმოშობს.

ამ მეორე კონტექსტშიც, შეიძლება, დაახლოებით იგივე ლოგიკა მოიხმოს თავისუფლებასა და ნაფიცებულმა ადამიანმა: რადგან სასამართლოში პრობლემებია, ამიტომ, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაშუქდეს მედიასაშუალებებით სასამართლოების განხილვაში მყოფი (განსაკუთრებით, რეზონანსული) კონკრეტული საქმეები; მეტი გამჭვირვალობა საჭირო, რათა ვიცოდეთ, როგორ იხილავენ საქმეებს ჩვენი სასამართლოები. თუ საჭიროა, კონკრეტულ საქმეზე უნდა შეიქმნას ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც გავლენას მოახდენს საქმის განხილველ სასამართლოზე და არ მისცემს მას მართლმსაჯულების გამრუდების შესაძლებლობას. ამ ლოგიკას, როგორც ჩანს, მედიასაშუალებებიც იყენებენ. ამის დასტურია არაერთი შემთხვევა საქართველოს ტელევიზიის არხებზე რეზონანსული საქმეების პოპულარულ თოქ შოუებში განხილვისა საქმის მხარეების, მათ შორის, ადვოკატების აქტიური მონაწილეობით.

ბევრისთვის ალბათ რთულად წარმოსადგენია, როგორ შეიძლება მედიასაშუალებებით საქმის გაშუქებამ, ზოგიერთ შემთხვევაში, არსებითად დააზარალოს მართლმსაჯულების ინტერესი და საქმეში ჩართულ მხარეთა უფლებები.

წინამდებარე სტატიის მიზანია, მკითხველს გააცნოს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამ სფეროში და დაეხმაროს იმის გარკვევაში, თუ როდის, რა შემთხვევაში და რა ხარისხით შეიძლება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა; რა ფაქტორებსა და მოსაზრებებს ეფუძნება შეზღუდვის გამართლება. სტატიის მიზა-

ნი ისიცაა, რომ უფრო ღრმად ჩაახედოს მკითხველი ღირებულებათა ამგვარი კონფლიქტის ნიუანსებში და იმის გარკვევაში, არის თუ არა გამოხატვის თავისუფლება ყოველთვის პრიორიტეტული სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესთან მიმართებით.

1. ლეგიტიმურ მიზანთა ბაზრება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ღირებულება „სასამართლოს ავტორიტეტი“ და „სასამართლოს მიუკერძოებლობა“ საჯარო ინტერესებს წარმოადგენს და ერთ სიბრტყეშია წარმოდგენილი, არსებითი განსხვავება იკვეთება მათ დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების გააზრებისას.

როდესაც შეზღუდვის საფუძველია „სასამართლოს ავტორიტეტი“, ამ დროს დაცვის საგანი არის სასამართლო, როგორც ინსტიტუცია; სასამართლო, როგორც დავების გადაჭრის ერთადერთი შესაბამისი ადგილი; სასამართლო, რომელსაც მინდობილი აქვს ადამიანთა ბედის განსაზღვრა; სასამართლო, რომელიც აღასრულებს მართლმსაჯულებას და უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობას; სასამართლო, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს დემოკრატიული პროცედურების გზით და გადაწყვეტილება გამოაქვს ქვეყნის სახელით; სასამართლო, რომელსაც უნდა ენდობოდეს ხალხი.

ამასთანავე, „სასამართლოს ავტორიტეტში“ იგულისხმება და მისგან განუყოფელია კონკრეტული მოსამართლეების ავტორიტეტიც, ვინაიდან ერთი კონკრეტული მოსამართლის ავტორიტეტის შელახვა დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, განუზომელ ზიანს აყენებს მთელ სასამართლო სისტემას.⁵

ბული; გვ. 376.

5 ამავე ცნებაში, შეიძლება ზოგჯერ მოიხსენიებოდეს სა-

შესაბამისი შემთხვევები, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, უფრო ხშირად, კონკრეტული მოსამართლეების ავტორიტეტის შელახვას უკავშირდება, ვიდრე მთელი სისტემის კრიტიკას. სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა მკვეთრია: მოსამართლეები სარგებლობენ მათი ავტორიტეტისა და პრესტიჟის ყველაზე უფრო ძლიერი დაცვით. თავის მხრივ, ეს განპირობებულია არა მარტო იმ პოსტულატივით, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში უმნიშვნელოვანესია სასამართლოს მიმართ არსებობდეს ხალხის ნდობა, არამედ იმ ფაქტორითაც, რომ ე.წ. „თავშეკავებულობის“ ვალდებულებიდან გამომდინარე, მოსამართლეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები შედარებით ვიწროა.

როდესაც შეზღუდვის საფუძველია „სასამართლოს მიუკერძოებლობა“, ამ დროს დაცვის საგანია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესი, ინტერესი იმისა, რომ სასამართლო არ მოექცეს ვინმეს ან რაიმეს გავლენის ქვეშ და შეინარჩუნოს მიუკერძოებლობა. ამ კონტექსტში, ესეც „საჯარო ინტერესია“. საჯარო ინტერესია ის, რომ მართლმსაჯულება ხორციელდებოდეს მიუკერძოებლად, მაგრამ ამ საჯარო ინტერესის მიღმა, კონკრეტული ადამიანის კონკრეტული უფლებების დაცვის ინტერესები დგას. მიუკერძოებელი სასამართლო ხომ ადამიანის უფლებაა. როდესაც სასამართლო მიუკერძოებელი არ არის, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება ირღვევა. ამიტომ, გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ უმთავრესი ღირებულება, რომლის დასაცავადაც გამოხატვის თავისუფლება იზღუდება „სასამართლოს მიუკერძოებლობის ინტერესების მიზნით“, არის პროცესში ჩართული პირების სამართლიანი განხილვის უფლება და სხვა პროცედურული უფლებები. სტრასბურგის სასამართლო მოითხოვს, რომ პრესის პუბლიკაციამ, სასამართლო საქმის მედიასაშუალებებში განხილვამ ან სხვა განცხადებ-

ბამ, ზიანი არ მიაყენოს მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესს და საქმის მხარეთა უფლებებს, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციას.

ზემოაღნიშნული ორი ლეგიტიმური ინტერესის დასაცავად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხებზე, სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენცია ჩამოყალიბდა საქმეების საფუძველზე, რომლებიც შეეხებოდა ორ ძირითად კონტექსტს:

- სასამართლოსა და მოსამართლეების კრიტიკას
- განხილვაში მყოფი საქმეების თაობაზე პრესის პუბლიკაციებს, საჯარო განცხადებებს ან გაშუქებას მედიასაშუალებების მიერ.

ორივე კონტექსტი პირდაპირ მიმართებაშია სასამართლოს უპატივცემულობის თემასთან.

2. სასამართლოს კრიტიკა

2.1. სტრასბურგის

სასამართლოს იურისპრუდენცია

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მოსამართლეთა ავტორიტეტი სარგებლობს ყველაზე მაღალი ხარისხის დაცვით და დასაშვები კრიტიკის ფარგლები, მათ მიმართ ძალიან ვიწროა. ეს აიხსნება მოსამართლეთა განსაკუთრებული როლით – ისინი არიან მართლმსაჯულების გარანტი და საზოგადოებას უნდა უნერგავდნენ სასამართლოსადმი ნდობას. გარდა ამისა, მათ არ გააჩნიათ კრიტიკაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა.

სასამართლომ მოსამართლეთა კრიტიკა განასხვავა შეურაცხყოფისაგან. თუ ამა თუ იმ აზრის გამოხატვის მიზანი მხოლოდ სასამართლოს ან მოსამართლეების შეურაცხყოფაა, შესაბამისი სასჯელი გამართლებულად იქნება მიჩნეული კონვენციის მე-10 მუხლით. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს ავტორიტეტი დაცული უნდა იყოს ყოველგვარი შე-

სამართლოს პერსონალიც, რადგან მათი ავტორიტეტის შელახვაზე შეიძლება დააზარალოს სასამართლოს ინსტიტუცია.

ურაცხმყოფელი და ზიანის მიმყენებელი ენისაგან. მან არაერთხელ გაამახვილა ყურადღება, ამ მიმართებით, მედიასაშუალებების პასუხისმგებლობაზე.

კონვენციის სამართალი დაწვრილებით ხსნის, თუ რატომ უნდა შეიზღუდოს შესაბამის გარემოებებში გამოხატვის თავისუფლება სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად. ასევე ხსნის იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც შეზღუდვის გამართლებულობის შეფასებისას უნდა გამოვიყენოთ:

„სამართლებრივ სახელმწიფოში პრესას განსაკუთრებული როლი აკისრია, თუმცა მან არ უნდა გადაღახოს გარკვეული ფარგლები, რომლებიც დაწესებულია სხვათა რეპუტაციის დასაცავად“. აღსანიშნავია სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლი საზოგადოებაში, როგორც მართლმსაჯულების გარანტი, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად ფასეულობას წარმოადგენს. სასამართლო ხელისუფლება უნდა სარგებლობდეს საზოგადოებრივი ნდობით, რათა ეფექტიანად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. სახელმწიფოს შეუძლია საჭიროდ ჩათვალოს სასამართლოსადმი ნდობის დაცვა უსაფუძვლო და დესტრუქციული თავდასხმებისაგან, განსაკუთრებით იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ მოსამართლეებს, რომლებიც კრიტიკის ობიექტად იქცევიან, მათი სამსახურებრივი მდგომარეობა ამგვარ კრიტიკაზე პასუხის გაცემას უკრძალავს“ (*Prager and Oberschlick v. Austria*).⁶

„მოსამართლის მიმართ, რომელიც თავის ოფიციალურ უფლებამოსილებას ახორციელებს, დასაშვები კრიტიკის ფარგლები, ზოგიერთ გარემოებებში, შეიძლება იყოს უფრო ფართო ჩვეულებრივ მოქალაქეებთან შედარებით“ (*Morice v. France*).⁷

„...არ შეიძლება ითქვას, რომ სახელ-

მწიფო მოხელეებმა შეგნებულად ჩაიყენეს თავი თავიანთი თითოეული სიტყვისათვის საზოგადოების მხრიდან მკაცრი და სერიოზული ყურადღებისა და კონტროლის ქვეშ იმ ხარისხით, რა ხარისხითაც პოლიტიკოსებმა და რომ მათ ერთგვაროვნად უნდა მოვეპყრათ, როდესაც საქმე შეეხება მათი საქციელის კრიტიკას. სახელმწიფო მოხელეები უნდა სარგებლობდნენ ხალხის ნდობით, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს არასათანადო შეწუხებისაგან, როდესაც წარმატებით ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს. ამიტომ, თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, აუცილებელია მათი დაცვა შეურაცხმყოფელი და ზიანის მომტანი თავდასხმებისაგან“ (*Janowski v. Poland*).⁸

„სასამართლოს მიმართ გამოთქმულმა კრიტიკამ არ უნდა გადაღახოს გარკვეული ფარგლები და სასამართლოს ავტორიტეტი არის მნიშვნელოვანი ღირებულება, რომელსაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შეუძლია გაამართლოს. სრულიად შესაძლებელია, საქმის მხარის მიერ სასამართლოს შემადგენლობისა და ფუნქციონირების კრიტიკა საქმის განმხილველ მოსამართლეებზე პერსონალური თავდასხმების გარეშე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სიტყვების მტრული ხასიათი და ტონი, რომელსაც შეუძლია, ზიანი მიაყენოს სასამართლოს ავტორიტეტს და შექმნას საფრთხე მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების საზიანოდ“ (*Saday v. Turkey*).⁹

„სასამართლოს არ გააჩნია კრიტიკისაგან იმუნიტეტი, მაგრამ ცხადი ზღვარი უნდა გაიდოს კრიტიკასა და შეურაცხყოფას შორის. თუ გამონათქვამის მიზანი არის სასამართლოსა და მოსამართლეების შეურაცხყოფა, შესაბამისი სასჯელი კონვენციის მე-10 მუხლს არ დაარღვევს“ (*Skalka v. Poland*).¹⁰

6 Prager and Oberschlick v. Austria, judgment of 26 April 1995, Application No. 15974/90; იხ. აგრეთვე Karpetas v. Greece, Application no. 6086/10, § 68, Judgment of 30 October 2012; და Di Giovanni v. Italy, no. 51160/06, § 71, 9 July 2013).

7 Morice v. France, judgment of 23 April 2015, § 131.

8 Janowski v. Poland, Judgment of 21 January 1999; [GC], N25716/94, § 33, ECHR 1999-I; . Nikula v. Finland, Judgment of 23 March 2002, Application No. no. 31611/96, § 48.

9 Saday v. Turkey, Judgment of 30 March, 2006; Application No. 32458/96.

10 Skalka v. Poland, Judgment of 27 May, 2003, Application No. 43425/98.

„მართალია, მხარეებს უფლება აქვთ სასამართლო დარბაზში საჯაროდ წარმოადგინონ არგუმენტები დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, თუმცა მათ მიერ გამოთქმულმა კრიტიკამ არ უნდა გადააბიჯოს გარკვეულ ფარგლებს. ... განსაზღვრული ინტერესები, როგორცაა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამართლებს გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებს“ (Kyprianou v. Cyprus).¹¹

„მაშინაც კი, როდესაც განცხადება წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, მას უნდა გააჩნდეს შესაბამისი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი; სხვაგვარად, იგი ექსცესიურად იქნება მიჩნეული“ (Jerusalem v. Austria).¹²

კონვენციის სამართალი ადვოკატებს, როგორც მართლმსაჯულების პროცესის მონაწილეებს, აკისრებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, უსაფუძვლოდ არ შელახონ სასამართლოსა და მოსამართლეების რეპუტაცია და გაუფრთხილდნენ მათდამი ხალხის ნდობის შენარჩუნებას.

„გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია ადვოკატებისთვისაც, რომლებსაც უფლება აქვთ, კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს განსაზღვრულ მიზნებს“. „სასამართლოს ავტორიტეტი დაცული უნდა იყოს ყოველგვარი შეურაცხმყოფელი და ზიანის მიმყენებელი ენისაგან“ (Schöpfer v. Switzerland).¹³

„სასამართლო იმეორებს, რომ ადვოკატების სპეციალური სტატუსი მათ აკუთვნებს ცენტრალურ როლს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, როგორც შუამავლებს ხალხსა და სასამართლო-

ბს შორის. ასეთი პოზიციით, ჩვეულებრივ აიხსნება ადვოკატთა ასოციაციის წევრების ქცევის შეზღუდვა. უფრო მეტიც, სასამართლოები, რომლებიც წარმოადგენენ მართლმსაჯულების გარანტორებს სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ სახელმწიფოში, უნდა სარგებლობდნენ ხალხის ნდობით. ამ სფეროში ადვოკატების საკვანძო როლის გათვალისწინებით, ლეგიტიმურია, მათგან ველოდოთ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში და, ამ გზით, ხელი შეუწყონ მისდამი ხალხის ნდობას (Morice v. France).¹⁴

„სასამართლოს მიაჩნია, რომ: (a) „ადვოკატებს უფლება აქვთ, საჯარო კომენტარი გააკეთონ მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმის უზრუნველყოფით, რომ მათი კრიტიკა არ გადალახავს განსაზღვრულ ფარგლებს, რათა მართლმსაჯულება დაცული იქნეს უსაფუძვლო თავდასხმებისაგან და რაც მოტივირებულია მხოლოდ სურვილით ან სტრატეგიით, რომ მედიაში არსებობდეს დებატები მართლმსაჯულების საკითხებზე. (b) ადვოკატებმა, მყარი ფაქტობრივი საფუძვლების გარეშე, არ უნდა გააკეთონ ისეთი სერიოზული განცხადებები, რომლებიც სცდება დასაშვები კომენტარის ფარგლებს და (c) ადვოკატთა რემარკები შეფასებულ უნდა იქნეს საერთო კონტექსტში, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, შეიძლება თუ არა ისინი ჩაითვალოს გზისამცდენელად, შეცდომაში შემყვანად ან უმიზნო პერსონალურ თავდასხმად და, ამასთან, შემონელებულ უნდა იქნეს, აქვთ თუ არა ამ გამონათქვამებს საკმარისად მჭიდრო კავშირი საქმის ფაქტებთან“ (Morice v. France).¹⁵

ზემორე ციტირებებიდან ნათლად ჩანს, რომ ადვოკატის მხრიდან სასამართლოს კრიტიკა ყოველთვის დაუშვებელი არ არის, თუმცა არაერთი ფაქტორია ერთდროულად გასათვალისწინებელი.

ჯერ ერთი, სასამართლოს კრიტიკის კონტექსტში სტრასბურგის სასამართლო

11 Kyprianou v. Cyprus, judgment of 15 December, 2005, [GC], N73797/01, § 174, ECHR 2005). დიდი პალატის განჩინება.
12 Jerusalem v. Austria, judgment of 27 February 2001; no. 26958/95, § 43, ECHR 2001-II;
13 Schöpfer v. Switzerland, judgment of 20 May 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-III, pp. 1052-53, §§ 29-30. იხ. აგრეთვე საქმეები Casado Coca v. Spain, 24 February 1994, Series A no. 285-A, p. 21, § 54; De Haes and Gijssels v. Belgium, 24 February 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-I, p. 234, § 37.

14 Morice , §132; Schöpfer , §§ 29-30. Nikula, § 45;
15 Morice, § 134, 139).

ადვოკატს და ჟურნალისტს თავისუფლების განსხვავებულ ფარგლებს აკუთვნებს. იგი მიუთითებს, რომ ადვოკატებს, როგორც დამოუკიდებელ პროფესიონალებს, განსაკუთრებული როლი ეკისრებათ მართლმსაჯულებს განხორციელებაში და სასამართლოსადმი ნდობის შენარჩუნებაში. ამიტომ, ისინი ჟურნალისტებთან ვერ გათანაბრდებიან.

მეორე, ადვოკატის მხრიდან სასამართლოს კონსტრუქციულ კრიტიკას არა მართო დასაშვებად, არამედ სასარგებლოდაც მიიჩნევს. სასამართლოს აზრით, ადვოკატებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ სასამართლო სისტემის ხარვეზებზე, რათა მართლმსაჯულებამ სარგებელი მიიღოს კონსტრუქციული კრიტიკისაგან. როგორც სასამართლო განმარტავს, სასამართლოს სწორი ფუნქციონირება შეუძლებელი გახდება იმ ურთიერთობის გარეშე, რომელიც ეფუძნება ორმხრივ პატივისცემას მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა პროტაგონისტს შორის, რომლის წინა ხაზზეც არიან მოსამართლეები და ადვოკატები. შესაბამისად, სასამართლოს შეხედულებით, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში სახელმწიფოთათვის გადაცემული შეფასების თავისუფლების ფარგლები ვიწროა.

მესამე, იგი განასხვავებს ორ შემთხვევას: როდესაც სასამართლოს კრიტიკა განხორციელებულია სასამართლო დარბაზში და მის გარეთ. ცხადია, მეტი გამართლება აქვს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას, როდესაც კრიტიკა განხორციელებულია სასამართლოს შენობაში, განსაკუთრებით, *in facie curiae*. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სასამართლოსადმი უპატივცემულობის (*Contempt of Court*)¹⁶ თემას – დოქტრინას, რომელიც ინგლისური საერთო სამართლის წიაღში იშვა და ფართოდ გავრცელდა სხვა იურისდიქციებში.

2.2. საქმეთა მიმოხილვა

ა) კონკრეტული საქმეები, სადაც მე-10 მუხლის დარღვევა არ იქნა აღიარებული:

Schöpfer v. Switzerland:¹⁷ ადვოკატი დაისაჯა დისციპლინური წესით პრესკონფერენციის დროს განხილვაში მყოფ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების კრიტიკისათვის. კერძოდ, მან განაცხადა: „ამ ტენტლმენებს არ მივცემ ჩემი გასულელების უფლებას. მოვითხოვ ახალი გამოძიების დაწყებას კანტონის გარეთ“. ადვოკატთა დისციპლინურმა ბორდმა, პრეფექტის საჩივრის საფუძველზე, ადვოკატი დააჯარიმა 500 შვეიცარული ფრანკით. ბორდმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ პრესკონფერენციაზე წასვლამდე ადვოკატს არც ჰქონდა გასაჩივრებული დაპატიმრების გადაწყვეტილება პროკურორთან ან სააპელაციო სასამართლოში და რომ მას თავისი საჯარო პროფილის გამოკვეთა უფრო ადარდებდა, ვიდრე საქმე. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივანს, როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრს, ეკისრებოდა სპეციალური ვალდებულება, ხელი შეეწყოს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებისა და მისდამი ხალხის ნდობის შენარჩუნებისათვის. ჯარიმის იმ ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც მას შეეფარდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლიანი ბალანსი მიღწეული იყო.

Barfold v. Denmark:¹⁸ საქმე შეეხებოდა 2 არაპროფესიონალი მოსამართლის დიფამაციას მათ მიერ განხილულ საქმესთან დაკავშირებით (საგადასახადო დავა, რომელიც გადაწყდა ადგილობრივი ხელისუფლების სასარგებლოდ). მომჩივანმა დაწერა სტატია გაზეთში, სადაც მიუთითა, რომ „ორმა არაპროფესიონალმა მოსამართლემ „შეასრულა თავისი მოვალეობა“, და რომ მათ ხმა მისცეს როგორც ადგილობრივი ხელისუფლების მსახურებმა და

16 ფრანგულად გამოიყენება ტერმინი „Outrage“, იხ: Dahl's Law Dictionary, second edition, by Henry Saint Dahl; Daloz, Paris, 2001, გვ. 236.

17 იხ. Schöpfer v. Switzerland, Judgment of 20 May 1998; Reports, 1998-III.

18 Barfold v. Denmark, Judgment of 22 February 1989; Sries A n o 149, §§ 34-35.

არა როგორც დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლეებმა“. როგორც ეროვნული პროცედურებით დადგინდა, ბრალდება უსაფუძვლო იყო და სტატიის ავტორი დამნაშავედ ცნეს დიფამაციისათვის. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, სტატია შეეხებოდა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხს – საგადასახადო დავას, მაგრამ ბრალდების უსაფუძვლობის გამო, „*მომჩივნის გამონათქვამი ვერ ჩაითვლებოდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხზე საჯარო დებატებში წვლილის შეტანად*“. მან არ მიიჩნია, რომ მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დასჯა დამლუპველ შედეგებს იქონიებდა მის გამომხატვის თავისუფლებაზე და არც იმას მიანიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ კრიტიკა გამოთქმული იყო საგადასახადო საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის კონტექსტში.

Prager and Oberschlick v. Austria:¹⁹ ეს საქმე იმით არის მნიშვნელოვანი, რომ შეეხებოდა შეფასებით მსჯელობას, რომლის დაცულობის სტანდარტი, რაკი იგი მტკიცებას არ ექვემდებარება (ან რთულად ექვემდებარება), გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე „ფაქტების მტკიცებისა“. საქმე შეეხებოდა „ფორუმში“ დაბეჭდილ ბ-ნ პრაგერის სტატიას – სახელწოდებით „ფრთხილად! სასტიკი მოსამართლეები!“. სტატია აკრიტიკებდა ვენის სისხლის სამართლის რეგიონული სასამართლოს ცხრა მოსამართლეს. მოსამართლეები აღწერილი იყვნენ შემდეგნაირად:

- (1) „ყოველ ბრალდებულს ისინი დასაწყისიდანვე ისე ეპყრობიან, როგორც უკვე მსჯავრდებულს“.
- (2) „ზოგიერთი ავსტრიელი მოსამართლე მზად არის, ყველაფერზე წავიდეს“.
- (3) „მოსამართლე ჯ.-ს ქედმაღლური ამპარტავნობა შეუდარებელია“.

სტატიის ავტორს, სასჯელის სახით, დაეკისრა ჯარიმა 20,000 შილინგის ოდენობით. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ

სტატიის მოცემული ნაწყვეტები ავსტრიის მართლმსაჯულების სისტემის საჯარო განხილვას კი არ უწყობდა ხელს, არამედ პირადად შეურაცხყოფდა მოსამართლე ჯ.-ს, რომლის ვინაობა მკითხველისათვის ადვილად იდენტიფიცირებადი იყო. აღნიშნულ განცხადებებზე არ ვრცელდებოდა ის გარანტიები, რომლებიც გათვალისწინებული იყო პოლიტიკური შეხედულებების გამომხატვისათვის. გამომხატული შეხედულებები ვერ ისარგებლებდა სრული იმუნიტეტით მხოლოდ იმის გამო, რომ მათი სისწორე დამტკიცებას არ ექვემდებარებოდა. განცხადებებმა მისაღები კრიტიკის ზღვარს გადააჭარბა.

Peruzzi v. Italy:²⁰ მომჩივანი იყო პრაქტიკოსი ადვოკატი. მან წერილი გაუგზავნა იტალიის სახელმწიფო სამართლებრივი სამსახურის კომისიას, სადაც მან გააპროტესტა მოსამართლე X-ის ქმედება. შემდეგ მან ეს წერილი ცირკულარის ფორმით გაუგზავნა ამავე სასამართლოს მოსამართლეებს, სადაც მოსამართლის გვარი, რომელსაც აკრიტიკებდა, პირდაპირ არ იყო მითითებული. წერილი იწყებოდა მოსამართლეთა ქება-დიდებათ, ხოლო კრიტიკა მოსამართლე X-ის მიმართ, გადმოცემული იყო არაპირდაპირი ფორმით. კერძოდ, სადავოდ იქნა მიჩნეული შემდეგი განცხადებები:

- (a) „(მოსამართლის) ავტონომია არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც შეხედულების აბსოლუტური თავისუფლება, რადგან ის ესაზღვრება თვითნებობას“.
- (b) „...მოსამართლემ საქმე არ უნდა გადაწყვიტოს მიკერძოებულად, შესაძლოა, ქედმაღლობის ჩვენებით ან ვალდებულებების სრული უგულებელყოფით“.
- (c) „... მოსამართლემ არ უნდა მისცეს თავს უფლება, პატივი არ სცეს სხვებს, მათ შორის ადვოკატებს“;
- (d) „მოსამართლეები ადამიანები არიან და შეცდომის დაშვება შეუძლიათ, მაგრამ მათ არ აქვთ უფლება, განზრახ დაუშვან შეცდომა არაკეთილსინდისიერი განზრახვებით“.

19 Prager and Oberschlick v. Austria, Judgment of 26 April 1995, Application No. 15974/90.

20 Peruzzi v. Italy, Judgment of 30 June 2015; Application no. 39294/09.

ხვით, ან სერიოზული უსწორო საქციელი, ანდა დაუდევრობით“.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებებიც ირიბი ფორმით იყო გადმოცემული, ეროვნულმა სასამართლომ ადვოკატს დააკისრა მოსამართლე X-ისათვის კომპენსაციის გადახდა 15,000 ევროს ოდენობით და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსამართლე X ადვილად იდენტიფიცირებადი იყო.

სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივნის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მის მიზანს წარმოადგენდა არა მოსამართლის რეპუტაციის შელახვა, არამედ მთელი სასამართლო სისტემის ნაკლოვანებების გამოაშკარავება. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის მოსაზრება, რომ კრიტიკის ობიექტი – მოსამართლე X – ადვილად იდენტიფიცირებადი იყო. თავისი დებულებებით, სასამართლომ დაადასტურა თავისი მიდგომები ამ სფეროში, რაც შემუშავებული ჰქონდა წინა პრეცედენტებით (მხედველობაშია საქმეები *Schöpfer v. Switzerland*, *Morice v. France*, *Janowski v. Poland*, *Nikula v. Finland*), როლებიც შეეხებოდა მოსამართლეთა მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და მათი დაცვის აუცილებლობას შეურაცხმყოფელი და ზიანის მომტანი თავდასხმებისაგან, ადვოკატების როლს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და მათ მიმართ არსებულ მოლოდინს, რომ ხელს შეუწყობდნენ მისდამი ხალხის ნდობას, მათ განსაკუთრებულ ვალდებულებებს, არ გადაელახათ დასაშვები კრიტიკის ზღვარი, მორიდებოდნენ პერსონალურ თავდასხმებს, გზისამცდენ, შეცდომაში შემყვან განცხადებებს და მყარი ფაქტობრივი საფუძვლის გარეშე არ წამოეყენებინათ სერიოზული ბრალდებები.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ გამართლებულად შეაფასა ადვოკატის დასჯა და არც გამოყენებული სანქცია მიუჩნევია არაპროპორციულად დასახულ კანონიერ მიზანთან მიმართებით. მომჩივნის განცხადება იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ უსამართლო გადაწყვეტილებამ მიიღო, სასამართლომ „შეფასებით მსჯელობად“

მიიჩნია, რომელსაც გააჩნდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ მოსამართლე X-მა ერთხელაც არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნები სხვადასხვა საქმეზე. რაც შეეხება გამონათქვამს, რომ X იყო „მიკერძოებული მოსამართლე“ და რომ მან „შეგნებულად დაუშვა შეცდომა არაკეთილსინდისიერი განზრახვით, სერიოზული უსწორო საქციელი ან დაუდევრობა“ – შეზღუდვა გამართლებულად შეაფასა. სასამართლომ განმარტა:

„ეს კრიტიკა იმას გულისხმობს, რომ მოსამართლე X-მა უგულვებელყო ის ეთიკური მოვალეობები, რომლებიც განუყოფელია მოსამართლის მოვალეობებისაგან, ან რომ მან ჩაიდინა კრიმინალური დარღვევა. მოსამართლის მიერ წინასწარი განზრახვით უსწორო გადაწყვეტილების გამოტანა წარმოადგენს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. ცირკულარული წერილი, რომელიც ბრალს სდებდა მოსამართლეს, რომ არ გააჩნდა მიუკერძოებლობის, დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის თვისებები, წარმოადგენს სამოსამართლო მოვალეობების შესრულების მახასიათებლებს, თუმცა მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება არაკეთილსინდისიერი მოტივით იმ გადაწყვეტილების მიღებისა, რომელსაც ის აპროტესტებდა. სასამართლოს აზრით, უსწორო საქციელის შესახებ მომჩივნის ბრალდებები ეფუძნებოდა მხოლოდ იმ ფაქტებს, რომ მოსამართლემ უარი უთხრა მის მოთხოვნებს, რომლებიც მან თავისი კლიენტების ინტერესების დასაცავად დააყენა“.

სასამართლომ მნიშვნელობა მიანიჭა იმ გარემოებას, რომ მომჩივანმა აღნიშნული წერილი გაუგზავნა მოსამართლე X-ს პირადად და ლუკას სამხარეო სასამართლოს მრავალ სხვა მოსამართლეს. სასამართლომ აღნიშნა: „წერილის გავრცელება მცირე საზოგადოებაში, როგორც არის ადგილობრივი სასამართლო, უდავოდ მიაყენებდა ზიანს მოსამართლის რეპუტაციას და პროფესიულ იმიჯს“.

პერუძის საქმე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში სასამართლომ პირველად

განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლება და პიროვნების რეპუტაცია თანაბრად დაცულ ღირებულებებს წარმოადგენდა: „ისეთ საქმეებში, რომლებიც მოგვიწოდებებს, რომ დავამყაროთ სამართლიანი ბალანსი პირადი ცხოვრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის, ეს ორი უფლება, პრინციპულად, თანაბარ დაცვას იმსახურებს. შესაბამისად, შეფასების თავისუფლება, ორივე შემთხვევაში, თანაბარი და ერთგვაროვანია“.

საერთოდ, ბევრი კრიტიკოსი ჰყავს სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციას საქმეებში, რომლებიც შეეხება რეპუტაციის უფლებისა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ღირებულებათა კონფლიქტის გადაჭრას. მიუთითებენ, რომ გამოხატვის თავისუფლება, ამ კონტექსტში, გადამეტებულად არის დაცული (overprotection) და რეპუტაციის უფლება ხშირად გაუმართლებლად ეწირება მას. იხ. მაგალითად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, ლუკის ლუკაიდისის სტატია, სადაც იგი მუთითებს: „არავის შეუძლია უარჰყოს სიტყვის თავისუფლების, განსაკუთრებით კი პრესის თავისუფლების მნიშვნელობა... მაგრამ განა შეიძლება ასეთი თავისუფლების დაცვა განსაზღვრულ გარემოებებში იყოს ისეთი ექსცესიური, რომ მან ყალბი განცხადების მსხვერპლს ალუკვეთოს აუცილებელი ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი?“²¹

ბ) კონკრეტული საქმეები, სადაც მე-10 მუხლის დარღვევა იქნა აღიარებული:

თვით ის საქმეებიც კი, სადაც სტრასბურგის სასამართლომ გაუმართლებლად შეაფასა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მიუთითებს, რომ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც საქმე შეეხება:

- მხოლოდ შეფასებით მსჯელობას, რომელსაც გააჩნია საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი;

- ან ჩარევის არაპროპორციულ ღონისძიებას.

მაგალითად, ქვემოთ მოყვანილ ორ საქმეში სასამართლოს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია, მან კონვენციის დარღვევა მხოლოდ არათანაზომიერი ჩარევის ღონისძიების გამო ცნო:

Saday v. Turkey:²² მომჩივანს ბრალი ედებოდა თურქეთის კონსტიტუციური რეჟიმისთვის საფრთხის შექმნაში. მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის დროს, როდესაც იგი საკუთარ პოზიციას თავად იცავდა, მსჯავრდება პოლიტიკურად მოტივირებულად შეაფასა და დაცვის სიტყვაში მოსამართლეები მოიხსენია „მანტიით შემოსილ ჯალათებად“: „სახელმწიფოს სურს, მოგვისწრაფოს სიცოცხლე მანტიაში გახვეული ჯალათების ხელით“. „ფაშისტ დიქტატორებს (...) უნდათ განმსაჯონ...“ სასამართლომ ის დაუყოვნებლივ გაასამართლა (ადვოკატის მონაწილეობის გარეშე) სასამართლოს შეურაცხყოფისათვის და მიუსაჯა 6 თვით პატიმრობა, აქედან ორი თვე იზოლაციაში. ეს ამ დანაშაულისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველაზე მკაცრ სასჯელს წარმოადგენდა. მომჩივანმა 2 თვე გაატარა სამართლო საკანში და შემდგომი სასაჯელისაგან გაათავისუფლეს კარგი ქცევის გამო.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მის სიტყვებს შეეძლო, სერიოზული ზიანი მიეყენებინა სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლეთა ღირსებისათვის დაუცველობის იმგვარი ატმოსფეროს შექმნით, რომელიც დააზრალებდა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას, მაგრამ, ვინაიდან ასეთი სასჯელი არაპროპორციულად მიიჩნია, მან კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად ცნო.

სტრასბურგის სასამართლომ მოიხმო თავისი პრეცედენტული სამართლის დებულებები იმის თაობაზე, რომ სასამართლო

21 იხ: Loucaides Loukis G.; Freedom of Expression and the Right to Reputation;., Mélanges offerts à Silvio Marcuss Helmons, Bruxelles, 2003; გვ. 202.

22 Saday v. Turkey, Judgment of 30 March, 2006; Application No. 32458/96.

რთლო საქმის მხარეებს ჰქონდათ სასამართლოს დარბაზში არგუმენტების საჭაროდ წარმოდგენის უფლება, მაგრამ კრიტიკას არ უნდა გადაეხედებინა გარკვეული ფარგლებისათვის და რომ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი ამართლებდა გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებულ შეზღუდვებს. სასამართლოს განმარტებით, წინამდებარე საქმეზე უდავო იყო, რომ მომჩივანმა თავის სიტყვაში გამოიყენა განსაკუთრებით მკაცრი სიტყვები, როგორებიცაა „მანტიით შემოსილი ტალათები“ ან „ფაშისტ დიქტატორებს (...) უნდათ განმსაჯონ“. სტრასბურგის სასამართლო ვერ შეარბილებდა მომჩივნის განცხადებებს და ვერ მიიჩნევდა, რომ მისი ფრაზა სასამართლოების სტრუქტურულ კრიტიკას წარმოადგენდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ, ფაქტობრივად, მომჩივანს შეეძლო სასამართლოს შემადგენლობის ან ფუნქციონირების კრიტიკა მოსამართლეებზე პირადი თავდასხმის გარეშე. აღნიშნულ დასკვნას ამყარებდა მომჩივნის მიერ გამოთქმული კრიტიკის სიმძიმე და ამ მიზნით შერჩეული ტონი.²³

სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ მომჩივნის მიერ გაკეთებული განცხადებების გათვალისწინებით, რომლებიც იმგვარი ხასიათისა იყო, რომ ეჭვქვეშ აყენებდა მოსამართლეთა ღირსებას, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს [მომჩივნისთვის] სასჯელის დაკისრება შეიძლება დასაშვებად მიჩნია, მაგრამ დაკისრებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვის ვადით [კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი], რომლიდანაც ორი თვე სამართლო საკანში უნდა მოეხადა, არ წარმოადგენდა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციულ ღონისძიებას და ამიტომ ჩარევა ვერ ჩაითვლებოდა „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“.²⁴

Skalka v. Poland:²⁵ ისევე როგორც ზემოაღწერილ საქმეში, აქაც კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა გამოყენებული სასჯელის არაპროპორციულობას დაეფუძნა და ეჭვქვეშ არ დამდგარა საკუთრივ უფლებაში ჩარევის აუცილებლობა. პატიმარმა რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარეს მისწერა წერილი, სადაც ერთ-ერთ მოსამართლეს უწოდა „კრეტინი“ და „სულელი“. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს სიტყვები აშკარად შეურაცხმყოფელი იყო, მაგრამ ამის გამო, მისთვის შეფარდებული სასჯელი – 9 თვით თავისუფლების აღკვეთა – არაპროპორციულ ღონისძიებად მიიჩნია.

საქმეში **Morice v. France**²⁶ კონვენციის დარღვევის აღიარება დაეფუძნა ერთი მხრივ იმ გარემოებას, რომ ადვოკატს არ მიეცა სასამართლო პროცესზე თავისი შეფასებითი მსჯელობის ფაქტობრივი საფუძვლის წარმოდგენის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, „მუსხხავი ეფექტის“ მქონე სანქციას. საქმე შეეხებოდა ადვოკატის სადავო ფრაზას იმის თაობაზე, რომ მისი კლიენტის საქმეზე „გამოძიების მოსამართლის მიერ, რომელიც შემდგომ ჩამოაცილეს გამოძიებას, სრულად დარღვეული იყო მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი“. ადვოკატის სტატია გამოქვეყნდა ჟურნალში „Le Monde“. ის დაისაჯა სისხლის სამართლის წესით, ორი მოსამართლის დიფამაციისათვის. ეროვნულმა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატის სიტყვები იმის თაობაზე, რომ გამოძიების მოსამართლის ქმედებები სრულიად ეწინააღმდეგებოდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს, თავისთავად წარმოადგენდა დიფამაციური ბუნების მქონეს.

სტრასბურგის სასამართლომ ამ საქმეზე გაითვალისწინა ის ფართო კონტექსტი, რაშიც სადავო განცხადებები იქნა გაკეთებული, რაც ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონდათ მხედველობაში მიღებული. სასამართლომ აღიარა, რომ ადვოკატს

23 Saday, §§ 34, 35.

24 Saday, § 36.

25 Skalka v. Poland, judgment of 27 may, 2003, Application No. 43425/98.

26 Morice v. France, Judgment of 23 April 2015.

შეედლო საზოგადოების ყურადღება მიეპყრო სასამართლო სისტემაში არსებულ ნაკლოვანებებზე, ხოლო სასამართლოს შეედლო, სარგებელი მიეღო კონსტრუქციული კრიტიკისაგან, თუმცა ხაზი გაუსვა ურთიერთპატივისცემის ვალდებულებას. მან აღნიშნა, რომ სასამართლოს სისტემის სათანადოდ ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ურთიერთობების გარეშე, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ურთიერთპატივისცემაზე სასამართლო სისტემის სახვადასხვა პროტაგონისტს შორის, რომელთა წინა ხაზზე სწორედ მოსამართლეები და ადვოკატები იდგნენ.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ გამოძიების მოსამართლე, ერთ-ერთი იმ ორი მოსამართლისაგან, რომელსაც კრიტიკა შეეხებოდა, ჩამოცილებული იქნა გამოძიებისაგან. ამის გამო, მომჩივნის განცხადებები ველარ დააზარალებდნენ სასამართლო პროცედურებს, რომლებშიც კრიტიკის ადრესატი აღარ მონაწილეობდა.

სასამართლომ დაადასტურა, რომ ადვოკატის განცხადება იყო საკმაოდ ხისტი და უხეში, თუმცა მიუთითა, რომ იგი არ წარმოადგენდა ისეთ შეფასებით მსჯელობას, რომელსაც არავითარი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნდა, ან რომელიც ძალიან მძიმე ზიანს აყენებდა სისტემას. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ საქმე, რომელსაც შეეხებოდა გამოძიების მოსამართლის ქმედებები, ფართო მედიაგანხილვის საგანი იყო, სადაც აქცენტი კეთდებოდა სასამართლო სისტემის ფუნქციონირებაზე და არა კონკრეტულ მოსამართლეებზე.

გარდა ამისა, მხედველობაში იყო მისაღები, რომ ადვოკატს, სასამართლო პროცედურების დროს, არ მიეცა არავითარი შანსი, მოსამართლეების წინააღმდეგ თავისი ბრალდების საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი წარმოედგინა. დამატებით, მისთვის შეფარდებული სასჯელიც საკმაოდ მძიმე იყო: ის დაისაჯა სისხლისსამართლებრივი წესით და შეეფარდა ჯარიმა 4000 ევროს ოდენობით, სასამართლო ხარჯების გადახდა 1000 ევროს ოდენობით. რედაქციას კი დაევალა

2 მოსამართლის მიმართ კომპენსაციის გადახდა – თითოეულს 7500 ევროს ოდენობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადვოკატის სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება და სანქციები „მსუსხავ ეფექტს“ იქონიებდა მისი გამოხატვის თავისუფლებაზე და, საბოლოო ჯამში, კონვენციის მე-10 მუხლი დარღვეულად ცნო.

ეს საქმე კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ გადაწყვეტილებაში სასამართლომ მოახდინა შესაბამისი პრეცედენტული სამართლის ამომწურავი ანალიზი, გააანალიზა ადვოკატის სიტყვის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტი; გამოკვთა საჭიროება, გამიჯნულიყო შემთხვევათა ორი წყება: საქმეები, რომლებიც შეეხებოდა ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში და მის გარეთ გაკეთებულ განცხადებებს. მან ხაზი გაუსვა ადვოკატების, როგორც ინდივიდუალური პროფესიონალების განსაკუთრებულ როლს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რომელიც ვერ გათანაბრდებოდა ჟურნალისტებთან, რომლებსაც არ ეკისრებოდათ სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ისეთივე ძლიერი ვალდებულება, როგორც ადვოკატებს.

2.3. შეჯამება

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ სასამართლოს კრიტიკის სფეროში სტრასბურგის სასამართლოს, კონვენციის საფუძველზე, შექმნილი აქვს საკმაოდ განვითარებული იურისპრუდენცია. მიდგომები მკვეთრია და გამოხატული: სასამართლო არაერთ კრიტერიუმსა და მიდგომას გამოიყენებს კომპლექსურად. კერძოდ, იგი:

- პირველ რიგში, ერთმანეთისაგან განასხვავებს კრიტიკასა და შეურაცხყოფას
- დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კრიტიკის ფორმას, ტონალობას, ლექსიკას
- აფასებს, საქმე შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემურ პრობლემებზე საუბარს თუ კონკრეტულ

- მოსამართლეებზე თავდასხმას
- საზოგადოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლოს ავტორიტეტის დაცვას დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც უმნიშვნელოვანესია, რომ სასამართლოები სარგებლობდნენ ხალხის ნდობით,
- ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსამართლეთა რეპუტაციის დაცვას, რომლებსაც, თავშეკავებულობის ვალდებულებიდან გამომდინარე, არ გააჩნიათ კრიტიკაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა
- მიიჩნევენ, რომ ისინი დაცული უნდა იყვნენ შეურაცხმყოფელი კრიტიკისაგან
- განსაკუთრებით მკაცრ მიდგომებს იყენებს, როდესაც კრიტიკის ობიექტი არის კონკრეტული და იდენტიფიცირებადი მოსამართლე
- ითვალისწინებს, საქმე შეეხებოდა „შეფასებით მსჯელობას“ თუ „ფაქტების გადმოცემას“
- მოითხოვს, რომ „შეფასებით მსჯელობასაც“ გააჩნდეს საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი
- განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ადვოკატს, რომელიც თავისი სტატუსის გამო ვალდებულია, ხელი შეუწყოს სასამართლოსადმი ნდობას და უსაფუძვლოდ არ დააზარალოს ის
- ითვალისწინებს, სასამართლოს კრიტიკის დროს რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა კრიტიკის ავტორი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებით უფრო იყო დაინტერესებული თუ თავისი პიროვნული პროფილის გამომკვეთით ან პოპულიზმით
- აფასებს, ხომ არ იყო შემზღვეველი ღონისძიება არათანაბრობიერი ან „მსუსხავი ეფექტის“ მქონე;
- ადასტურებს, რომ გამოხატვის თავისუფლებას არ გააჩნია წინასწარი პრიორიტეტი სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესებთან მიმართებით;

მათ განიხილავს თანაბარ სამართლებრივ ღირებულებებზე, რომლებიც თანაბარ დაცვას იმსახურებს.

3. საქმის განხილვაზე არასათანადო გეგმვლების თავეიდან ახილება

3.1. იურისპრუდენცია

სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს განსაკუთრებული დატვირთვა და შემხებლობა აქვს „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ ინგლისურ დოქტრინასთან²⁷. ამ დოქტრინის თანახმად, **შეიძლება აიკრძალოს განხილვაში მყოფ საქმეზე განსაზღვრული ინფორმაციის ცირკულაცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული საქმის წინასწარი განსჯა, საქმის წინსწრებად გადაწყვეტა (prejudgment), საზოგადოებრივი ზეწოლა სასამართლოზე ან მხარეებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოზე ადამიანის უფლებების დარღვევა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე კი, დამატებით შეიძლება მოჰყვეს ბრალდებულის სპეციფიკური საპროცესო უფლებების, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევა.**

ამგვარად, ინგლისური დოქტრინის თანახმად, სხვა შემთხვევებთან ერთად, „სასამართლოსადმი უპატივცემულობად“ – განიხილება ქმედებები, რომლებიც ქმნიან საქმის წინმსწრები განხილვის და სასამართლო პროცესის წინასწარი შეფასებების არსებით რისკს.²⁸

დოქტრინის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში, მხედველობაშია ისეთი მასა-

27 სასამართლოსადმი უპატივცემულობა (Contempt of court) არის საერთო სამართლის დოქტრინა, რომელიც სასამართლოებს აღჭურავს უფლებამოსილებით, შემჭიდროებული პროცედურების მეშვეობით, დააკისროს სანქციები მათ შორის იმ პირებს, რომლებიც მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევას ცდილობენ.

28 მაგალითისათვის იხილეთ ლორდთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Attorney-General v. Times Newspaper Ltd. *1974+ AC 273.

ლის გასატარებლად, რომელსაც გააჩნია მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის ტენდენცია. ზიანის მიმყენებლად განიხილება პუბლიკაციები, რომლებიც ხელს უწყობს წინასწარი აზრის ჩამოყალიბებას სისხლის სამართლის პროცესის მიმართ, რომელიც მსაჯულების მიერ განიხილება (1), შეიცავს განცხადებებს ბრალდებულის დანაშაულის ან უდანაშაულობის შესახებ (2); გულისხმობს ზეწოლას პროცესის მონაწილე მხარეების ან მოსამართლის მიმართ (3), წინსწრებად განიხილავს და წყვეტს საქმესთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მოსამართლემ უნდა განიხილოს ან წინასწარ განსაზღვრავს საქმის შედეგს (4).²⁹

მართალია, დოქტრინა ჩამოყალიბდა იმ განზრახვებით, რომ დაცული ყოფილიყო განხილვაში ან განხილვის მოლოდინში მყოფი საქმეები გარე ზეგავლენის რისკისაგან, მაგრამ, თანამედროვე გაგებით, მისი მთავარი არსი უკავშირდება მართლმსაჯულების განხორციელების სისტემის ოპერირებასა და მის რეპუტაციას მთლიანობაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, თავის დროზე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შემუშავებისას, კონვენციის მე-10 მუხლში „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის“, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი, კონვენციის ტექსტში გაჩნდა სწორედ კონვენციის ტექსტის შემუშავებელი კომისიის ინგლისელი წევრების რეკომენდაციით და სასამართლოსადმი უპატივცემულობის ინგლისური დოქტრინის გათვალისწინებით.³⁰ მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური საერთო სამართლის მოდგომები საკმაოდ მკაცრია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართალი ძირითადად იზიარებს მის ხედვას.

პრეცედენტებით დამკვიდრებული მიდგომების თანახმად, ყოველი პუბლიკაცია, რომელიც აყალიბებს რწმენას, თუ განსახილველ საქმეზე როგორი გადაწყვეტილება იქნება სწორი და როგორი - არასწორი, საფრთხეს უქმნის მართლმსაჯულებას, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის საქმეებზე და ეს არ შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციას. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ განსაკუთრებით დამაფიქრებელია შემთხვევები ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავეობის საკითხზე, რომლებსაც, პროფესიონალ მოსამართლეებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები მედეგობა აქვთ გარეშე ზეგავლენისადმი. თუ ნაფიცი მსაჯულები საქმეზე წინასწარი განწყობილებების გავლენის ქვეშ მოექცნენ, მაშინ სამართლიანი სასამართლოს შანსები უკიდურესად მცირდება.

მედიაინუსებში, კონკრეტული საქმეების სულ უფრო და უფრო ხშირად და დეტალურად განხილვის აშკარა და საშიში ტენდენციის გამო, დასავლეთში მიუთითებენ, რომ მედიამ ბოლო ხანებში მოახდინა „სახალხო სასამართლოდ“ თავისი რეინკარნაცია.

სტრასბურგის სასამართლომ ნათლად განმარტა, რატომ უნდა ყოფილიყო გარკვეულ ფარგლებში მოქცეულ განხილვაში მყოფ საქმეებზე კომენტარი და რა რისკებს წარმოშობს „ფსევდო სასამართლო განხილვები“ და სასამართლოს როლის უზურპაცია მედია საშუალებების მხრიდან. სასამართლომ დაადასტურა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ მოითხოვდა განხილვაში მყოფ საქმეებზე საჯარო დებატების სრულ აკრძალვას, მაგრამ ინფორმაციის გადაცემა იმგვარად უნდა მოხდარიყო, რომ ამას მართლმსაჯულების ინტერესები არ დაეზარალებინა:

„ფრაზა – „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“ – მოიცავს აზრს, რომ სასამართლოები არიან და ხალხის მიერ აღქმული უნდა იყვნენ, როგორც ერთადერთი შესაბამისი ფორუმი სამართლებრივი დავების გადაწყვეტის და პი-

29 Rolston F. Nelson, CONTEMPT OF COURT IN SPECIALIZED COURTS; Judicial Continuing Education Workshop: Recusal, Contempt of Court & Judicial Ethics Hyatt Regency May 4, 2012 <https://ccj.org/wp-content/uploads/2013/05/CONTEMPT-OF-COURT>

30 ამის დასტურია კონვენციის travaux préparatoires

როვნების დანაშაულისა თუ უდანაშაულობის განსაზღვრისა და რომ ხალხს უნდა გააჩნდეს ნდობა და რწმენა, რომ სასამართლოებს ძალუძთ ამ ფუნქციის შესრულება; ... „სასამართლოს ავტორიტეტის და მიუკერძოებლობის დასაცავად, სახელმწიფოებს უფლება აქვთ, მხედველობაში მიიღონ გარემოებები – რომლებიც სცილდება კონკრეტულ საქმეს – სასამართლოების ფუნდამენტური როლის დასაცავად დემოკრატიულ სახელმწიფოში“.³¹

„მე-10 მუხლი არ იძლევა განხილვაში მყოფ საქმეებზე საჯარო დებატების სრული აკრძალვის უფლებას. სასამართლოები არ შეიძლება ფუნქციონირებდნენ ვაკუუმში. მართალია, სასამართლოები არიან დანაშაულისა თუ უდანაშაულობის განმსაზღვრელნი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება დავუშვათ განხილვაში მყოფ საქმეებზე დებატები სპეციალიზირებული ჟურნალისტების, ხალხისა და ფართო მედიის მხრიდან საზოგადოდ. (see, *mutatis mutandis*, the *Sunday Times* (no. 1), p. 40, § 65) იმის დაცვით, რომ ისინი არ გადალახავენ საზღვრებს, რომლებიც დაწესებულია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესების დასაცავად“.³²

„ჟურნალისტებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ განხილვაში მყოფი საქმეების კომენტარებისას თავი შეიკავონ განცხადებებისაგან, რომლებსაც ძალუძთ, ეჭვის ქვეშ დააყენონ, ნებისთ თუ უნებლიედ, პიროვნების შანსები სამართლიან განხილვაზე ან ხალხის ნდობა სასამართლოთა როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში“.³³

„მედიის მხრიდან თავიდან უნდა იქნეს აცილებული სასამართლოს როლის უზურპაცია. არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ საზოგადოების გადაქცევას მედიის ნიუსებში საქმის ფსევდო-განხილვების რეგულარულ მათემატიკად, მოჰყვებს საფრთხე, რომ სასამართლოები აღარ იყვნენ მიჩნეული სამართლებრივი დავების გადაწყვე-

ტის სათანადო ფორუმად. გარდა ამისა, ეს პროკურორის ფუნქციაა, ამტკიცოს ვინმეს დანაშაული და არა ჟურნალისტის ან სხვა პირის“.³⁴

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“ საკმარისად ობიექტური ცნებები იყო და ამიტომ, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ გააჩნდათ შეფასების დიდი თავისუფლება იმ საკითხში, თუ რა შინაარსს ჩასდებდნენ ამ ცნებაში ან რა შეზღუდვებს დააწესებდნენ მის დასაცავად. შესაბამისად, ამ სფეროში ეროვნული შეფასების თავისუფლების მცირე არეალს ექსტენსიური ევროპული ზედამხედველობა შეესაბამებოდა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს მიდგომები და მის მიერ დაწესებული სტანდარტები მეტად ანგარიშგასაწევი იყო ხელშემკვრელი ქვეყნებისათვის.³⁵

3.2. კონკრეტული საქმეები:

Sunday Times v. UK (no. 1)³⁶. „სანდი ტაიმის“ საქმე ფუძემდებლურია ამ მიმართებით. იგი შეეხებოდა საგაზეთო სტატიას განხილვაში მყოფ საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა ე.წ. „თალიდომიდის ტრაგედია“, კერძოდ მედიკამენტ თალიდომიდის გამოყენებას ორსულების მიერ და მის სავალალო შედეგებს ინგლისში, 70-იან წლებში. ეროვნული ხელისუფლების მიერ სტატია მიჩნეულ იქნა მედიკამენტის დამამზადებელი და გამავრცელებელი კომპანიის ბრალეულობის წინასწარ/წინმსწრებ გადაწყვეტად (prejudgment) და მედიკამენტის მწარმოებელ კომპანიაზე ზეწოლის მცდელობად, რომელიც მიზნად ისახავდა, ეიძულებინა იგი, რაც შეიძლება მეტი კომპენსაცია გადაეხადა დაზარალებულებისთვის მათთან მორიგების პროცედურების დროს.

31 the *Sunday Times* (no. 1), Judgment of 26 April 1979 (Application no. 6538/74); § 55.

32 the *Sunday Times* (no. 1), § 55.

33 *Worm v. Austria*, Judgment of 29 August 1997, Reports; 1997-V). § 50.

34 The *Sunday Times* (no. 1), § 63.

35 The *Sunday Times* (no. 1), § 59.

36 The *Sunday times v. The United Kingdom*, (no. 1), Judgment of 26 April 1979, Application no. 6538/74.

ამ საქმეში სასამართლომ განიხილა, აკმაყოფილებდა თუ არა განჭვრეტადობის კრიტერიუმს „სასამართლოსადმი უპატივცემულობის“ თაობაზე ინგლისური საერთო სამართლის კონცეპტი. მომჩივნის აზრით, ეს კონცეპტი არ აკმაყოფილებდა ამ კრიტერიუმს და მის საფუძველზე რთული იყო იმის განჭვრეტა, ჩაითვლებოდა თუ არა სადავო სტატია ისეთად, რომელიც გამოიწვევდა განხილვაში მყოფი საქმის „წინმსწრებ გადაწყვეტას“, რაც შეფასებული იქნებოდა „სასამართლოსადმი უპატივცემულობად“. ევროპულმა სასამართლომ გამოთქვა ზოგიერთი ეჭვი იმ სიზუსტის თაობაზე, როგორც „სასამართლოსადმი უპატივცემულობა“ იყო ფორმულირებული ინგლისურ საერთო სამართალში, მაგრამ მიიჩნია, რომ ასეთად სტატიის მიჩნევა განჭვრეტადი იყო იმ ხარისხით, რაც გონივრულად ჩაითვლებოდა მოცემულ გარემოებებში.

თუმცა, მან მაინც ჰპოვა მე-10 მუხლის დარღვევა ამ საქმეში, რადგან მიიჩნია, რომ სტატიის შინაარსი ცალსახად არ ამტკიცებდა ამ ტრაგედიაში კომპანიის ბრალს, რადგან მთავრდებოდა სიტყვებით, რომ „ამ საკითხში კიდევ ბევრი რამ იყო გაურკვეველი“. გადაწყვეტილება მიღებული იქნა მცირედი უპირატესობით და საპირისპირო აზრის მქონე მოსამართლეებმა შეადგინეს „განსხვავებული აზრი“.

ეს გადაწყვეტილება იმით გახდა მნიშვნელოვანი, რომ სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა, თუ რა დიდი ზიანის მომტანი იყო მედიასაშუალებებში საქმის ფესვდო განხილვები და ხალხში წინასწარი შთაბეჭდილებების შექმნა დავის თაობაზე:

„ლორდთა პალატაში წარმოთქმული სიტყვები გამოკვეთენ იმ წუხილსა და საშიშროებას, რომ სამართლებრივი პროცედურები შეიძლება იგნორირებულ იქნეს, ხოლო სასამართლოს ფუნქციები კი – უზურპირებული, თუკი ხალხი მიყვანილი იქნება იქამდე, რომ თავისი აზრი დავის საგანზე შეიქმნას საქმის სასამართლოში განხილვამდე, ან თუ მხარეებს მოუწევთ გადაიტანონ დავის „საგაზეთო განხილვა“ („trial by newspaper“).

ასეთი წუხილი, თავისთავად, უკვე არის რელევანტური სასამართლოს ავტორიტეტის დაცვასთან მიმართებით, როგორცაც ამ გამოთქმის შინაარსი ესმის სასამართლოს. თუ დავის საკითხები იმგვარი ფორმით არის გამოქვეყნებული, რომელიც ხალხს აძლევს შესაძლებლობას, წინასწარ ჩამოუყალიბდეს დასკვნა, მას შეიძლება დაეკარგოს სასამართლოსადმი ნდობა. არ არის გამორიცხული, რომ ხალხის გადაქცევამ მედიის ნიუსებში ფესვდო-განხილვების რეგულარულ მაყურებლად, გამოიწვიოს ძალიან სერიოზული მანკიერი შედეგები სასამართლოების აღქმადობის საკითხში, როგორც სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ერთადერთი სწორი ფორუმისა“.³⁷

Worm v. Austria:³⁸ ეს საქმე შეეხებოდა ჟურნალისტის დასჯას ავსტრიის ვიცე-კანცლერის (Mr. Androsch) ბრალდების საქმეზე სტატიის გამოქვეყნებისათვის, სადაც ავტორი ირწმუნებოდა მის დანაშაულს. მომჩივანი დაისაჯა ვიცე-კანცლერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის შედეგებზე გავლენის მოსახდენად უკანონო ჩარევის მცდელობისათვის. მას მიესაჯა ჯარიმა – ATS 48,000, ან 20 დღით პატიმრობა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში. ამ საქმეში სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ სადავო სტატიას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა მოსამართლეებზე.

საგულისხმოა, რომ სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის შესაბამისად ცნო დიფამაციის შესახებ ავსტრიის კანონმდებლობის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, დასჯადი იყო პოტენციურად საფრთხის შემცველი დარღვევა. ასეთს კი წარმოადგენდა ქცევა, რომელსაც შეეძლო საშიში ვითარების შექმნა, იმის მიუხედავად, წარმოიქმნა თუ არა ასეთი საფრთხე კონკრეტულ ვითარებაში მოცემულ შემთხვევაში და მაშინაც კი, როცა არავინ არ დამდგარა ასეთი გავლენის მოხდენის რეალური საფრთხის წინაშე.

37 the Sunday Times (no. 1), § 63.

38 Worm v. Austria, Judgment of 29 August 1997 (Reports 1997-V).

მან ასევე გაიზიარა ვენის სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, დარღვევა მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების თაობაზე არა მართო ვინმეს საწინააღმდეგო, არამედ სასარგებლო კომენტარსაც.

ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ცნებაში – „სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა“ ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო კონვენციის გაგება. უწინარესად, მე-6 მუხლის კონტექსტი, რომელიც ასახავდა სამართლის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სასამართლოების ფუნდამენტურ როლზე, მათი ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვაზე, სასამართლოსადმი ხალხის ნდობის აუცილებლობაზე და შურნალისტთა პასუხისმგებლობაზე, თავიანთი განცხადებებით საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინათ სამართლიანი განხილვის უფლება და ხალხის ნდობა სასამართლოების როლის თაობაზე. ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, რომ, მოცემულ შემთხვევაში, შურნალისტის დატარიმება ემსახურებოდა როგორც სასამართლოს მიუკერძოებლობის დაცვას, ასევე ყოფილი ვიცე-კანცლერის უფლებას უდანაშაულობის პრეზუმფციაზე.

სტრასბურგის სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ შურნალისტმა ბრალდებულთან მიმართებით გააკეთა არასახარბიელო, მისთვის საზიანო კომენტარი. მანვე მიიჩნია, რომ არაპროფესიონალ მოსამართლეებს შეიძლებოდა წაეკითხათ მისი სტატია. შურნალისტს მრავალი სტატია ჰქონდა ამ თემაზე დაწერილი, რასაც კიდევ უფრო ამძიმებდა ამ სტატიის ენა (wording) და განზრახვა, გავლენა მოეხდინა შედეგებზე. იგი არამართო აკრიტიკებდა ვიცე-კანცლერს, არამედ ცდილობდა, მკითხველი მიეყვანა აზრამდე, რომ ის მართლაც დამნაშავე იყო წაყენებულ ბრალდებაში და განჭვრეტდა მის მსჯავრდებას, დადანაშაულებას სასამართლოს მიერ.

სასამართლოს განმარტებით, მომჩივ-

ნის კრიტიკა არსებითად მიმართული იყო საქმეში არსებული მტკიცებულებების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ შეფასების საკენ: „სასამართლო ვერ გაიზიარებს კომისიის აზრს, რომ სტატია მხოლოდ ეჭვებს გამოთქვამდა ვიცე-კანცლერის დანაშაულის შესახებ. მისი სიტყვები არ ტოვებდა სხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, გარდა ისეთისა, რომ ის გადასახადებს თავს არიდებდა და რომ ის დამნაშავე იყო. უფრო მეტიც, მისი განცხადებები ფორმულირებული იყო ისეთი აბსოლუტური ცნებებით, რომ მკითხველის თვალში ტოვებდა ერთადერთ მოსალოდნელობას – მის დამნაშავედ ცნობას. ამის გამო, სასამართლო ვერ მიიჩნევდა ამ სტატიას ისეთად, რომელიც არ იწვევდა პროცესის შედეგებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხეს“.

„მხედველობაში იყო მისაღები სააპელაციო სასამართლოს დებულება სასამართლოს როლის უზურპაციის თაობაზეც. არ შეიძლებოდა იმის გამორიცხვა, რომ საზოგადოება გამხდარიყო რეგულარული მაყურებელი საქმის ფსევდო-განხილვებისა მედიის ნიუსებში, რასაც მოსდევდა საფრთხე, რომ სასამართლოები აღარ ყოფილიყვნენ მიჩნეული სამართლებრივი დავების გადაწყვეტის სათანადო ფორუმად. ამის გამო იყო, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია აუცილებლად შედეგის რეალურად გამომწვევა – გავლენის მოხდენის ფაქტის არსებობა და მისი დამტკიცება“.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ მიიჩნია, რომ შურნალისტის უფლებაში ჩარევისა და მისი მსჯავრდების საფუძვლები „საკმარისი“ იყო. კერძოდ, შურნალისტის უფლება, გაეგრძელებინა ინფორმაცია და ხალხის უფლება, მიეღო ის და მონაწილეობა მიეღო დებატებში, გადაწონილი იყო იმ შედეგების საშიშროებით, რაც სტატიას შეეძლო გამოეწვია. ხოლო სანქცია კი არ იყო დისპროპორციული. ამიტომ, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება შურნალისტის დასჯის შესახებ, აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში და კონვენციის მე-10 მუხლიც არ გახლდათ დარღვეული.

ძირითადი საკითხი საქმეში *Bedat v. Switzerland*³⁹ შეეხებოდა შურნალისტიის მიერ გამოძიების საიდუმლოებით დაცული ინფორმაციის გადაცემას. სასამართლოს მოუწია შეეფასებინა ღირებულებათა კონფლიქტი და ბალანსის სამართლიანობა ერთი მხრივ, შურნალისტიის უფლებებსა და, მეორე მხრივ, ერდროულად კერძო და საჯარო ინტერესს – დაცული ყოფილიყო სისხლისსამართლებრივი გამოძიების საიდუმლოება – შორის.

მომჩივანი იყო შურნალისტი. იგი გაასამართლეს და დაატარებინეს ინფორმაციის გამოქვეყნებისათვის, რომელიც მოპოვებული იქნა მესამე პირისგან და რომელიც დაცული იყო სისხლისსამართლებრივი გამოძიების საიდუმლოებით. შურნალისტიის აპელაციები შიდა სასამართლოებში, წარუმატებლად დასრულდა.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ საქმე მომჩივნის წინააღმდეგ გადაწყვიტა. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ საქმეში შურნალისტიის უფლებები უნდა დაბალანსებულიყო ბრალდებულის მე-6 მუხლით დაცულ უფლებებთან მიმართებით (მათ შორის უდანაშაულობის პრეზუმფციასა და მიუკერძოებელ სასამართლოზე უფლებასთან მიმართებით) მიმდინარე სისხლის სამართლებრივი პროცედურების დროს იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც დაცული იყო სისხლისსამართლებრივი გამოძიების საიდუმლოებით და გამჟღავნდა შურნალისტიის მიერ.

სასამართლომ დაასახელა სხვა ლეგიტიმური მიზნებიც, რომლებიც ასევე უნდა ყოფილიყო მხედველობაში მიღებული ინტერესების დაბალანსებისას: მართლმსაჯულების განხორციელებაში სასამართლოების როლისადმი ხალხის ნდობის შენარჩუნებისა და „სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესი“ როგორც გადაწყვეტილების ფორმირების, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ასევე, სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა

და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესი.

სასამართლომ ჩამოთვალა ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი კრიტერიუმები: რა გზით მოიპოვა შურნალისტმა საიდუმლო დოკუმენტები; სადავო სტატიის შინაარსი; შეეხებოდა თუ არა სტატია საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხს და შეიტანა თუ არა მან წვლილი ამ საკითხზე საჯარო დებატებში; ასევე, სტატიის გავლენა სისხლისსამართლებრივ გამოძიებაზე, დაირღვა თუ არა ბრალდებულის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება და, ცხადია, შურნალისტიის სასჯელის პროპორციულობა.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ შურნალისტიის სტატია აშკარად ბრალდებულის საწინააღმდეგო იყო. იგი შეიცავდა გამოძიებისა და მართლმსაჯულების შედეგებზე გავლენის მოხდენის საფრთხეს მიუხედავად სასამართლოს შემადგენლობისა (პროფესიული მოსამართლეები იქნებოდნენ ისინი თუ ნაფიცი მსაჯულები). სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ მოპასუხე მთავრობას არც კი ევალებოდა დაემტკიცებინა *ex post facto* სტატიის რეალური ზეგავლენა პროცესზე. ასეთი ზეგავლენის მოხდენის რისკის შექმნას უკვე შეეძლო გამართლებინა *per se* (თავისთავად, დამოუკიდებლად) ისეთი დამცველი ღონისძიებების გატარება, როგორც იყო გამოძიების საიდუმლოების დამცველი წესები.

სასამართლომ გაიზიარა ფედერალური სასამართლოს მოსაზრება, რომ საქმის საიდუმლო დოკუმენტები გახდა საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გამოძიების პროცესში და სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე, კონტექსტის მიღმა და ისეთი ფორმით, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა როგორც გამოძიების, ისე საქმის განმხილველ მოსამართლეებზე.

39 *Bedat v. Switzerland*, judgment of 29 March 2016 (Application no. 56925/08)

3.3. შეჯამება

ამგვარად:

- კონვენციის სამართალი არ მოითხოვს განხილვაში მყოფ საქმეზე საჯარო დებატების სრულ აკრძალვას. ასეთი დებატები მედიაში შეიძლება დაშვებულ იქნას სპეციალიზირებული ჟურნალისტების და ხალხის მონაწილეობით, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი არ გადალახავენ საზღვრებს, რომლებიც დაწესებულია მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესების დასაცავად
- მართლმსაჯულების ინტერესებს ეწინააღმდეგება იმგვარი პუბლიკაცია ან დებატი მედიაში, რომელიც გულისხმობს საქმის წინსწრებად გადაწყვეტას, ან აყალიბებს რწმენას, თუ განსახილველ საქმეზე როგორი გადაწყვეტილება იქნება სწორი და როგორი -არასწორი, ანდა აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს პირის დამნაშავეობას ან უდანაშაულობაზე.
- ამგვარი პუბლიკაციები და მედიანიუსები საშიშია სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისითაც განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმეს ნაფიცო მსაჯულები იხილავენ, რომელთაც, პროფესიონალი მოსამართლეებისაგან განსხვავებით, ნაკლები მედეგობა აქვთ საზოგადოებრივი აზრისადმი. ამასთან, პუბლიკაციის/მედიანიუსის შესაზღუდად საკმარისია, იგი პოტენციურ საფრთხეს შეიცავდეს და მნიშვნელობა არ აქვს იმას, რაელურად რა შედეგი მოჰყვა მას და მოახდინა თუ არა რაიმე ზეგავლენა მოსამართლეზე
- გაზეთის ფურცლებზე თუ მედიანიუსებში პარალელური პროცესები, ფსევდო-სასამართლო განხილვები საფრთხეს უქმნის საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, უფლებას მიუკერძოებელ სასამართლოზე, უდანაშაულობის პრეზუმფციას; წა-

რმოადგენს სასამართლოსადმი უპატივცემულობის ერთ-ერთ ფორმას

- იმავედროულად, ამგვარი რეგულარული მედიაგანხილვები წარმოადგენს სასამართლოს როლის უზურპაციას და ხელს უშლის იმის აღქმას, რომ სასამართლოა სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ერთადერთი შესაბამისი ადგილი; არყვეს ადამიანთა რწმენას, რომ სასამართლოებს ძალუძთ ამ ფუნქციის შესრულება“.

ბოლოსიტყვაობა

საქმეების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შემუშავებული აქვს საკმაოდ მდიდარი იურისპრუდენცია, არაერთი პრინციული დებულება, მიდგომა და სტანდარტი, რომელთაც კომპლექსურად გამოიყენებს. გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესებს თანაბარ სამართლებრივ ღირებულებებად მიიჩნევს, რომელთა შორის ღირებულებითი კონფლიქტი ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით წყდება.

სასამართლოს კრიტიკის, განსაკუთრებით, მოსამართლეებზე პერსონალური თავდასხმების დროს, უმეტეს შემთხვევაში, სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესი უფრო პრიორიტეტულია და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნევა. კონვენციის დარღვევის აღიარება, ძირითადად, ეფუძნება ჩარევის ღონისძიების არათანაზომიერებას, მათ შორის, მსუსხავი ეფექტის მქონე სასჯელებს.

რაც შეეხება სასამართლოს განხილვაში მყოფ საქმეებზე საჯარო კომენტარებსა და მედიასაშუალებებში მათ განხილვებს, აქ სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დაცვის ინტერესს უფრო

აშკარა პრიორიტეტი აქვს, ვინაიდან გადამწყვეტი ის კი არ არის, მოახდინა თუ არა საჯარო განცხადებამ /პუბლიკაციამ რეალური გავლენა მოსამართლეზე, მსაჯულებზე, მხარეებსა თუ საზოგადოებაზე, ან შეუწყო თუ არა ხელი საქმეზე წინასწარი შთაბეჭდილებებისა თუ განწყობების ჩამოყალიბებას, ან შეუქმნა თუ არა საფრთხე მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ინტერესს, უდანაშაულობის პრეზუმფციას, ან მხარეთა უფლებას სამართლიან განხილვაზე, არამედ ის, გააჩნდა თუ არა მას ასეთი შედეგის გამოწვევის პოტენცია. ცხადია, ჩარევის ღონისძიების თანაბრობა მუდმივად არის შეფასების საგანი ჩარევის აუცილებლობის დადასტურების შემდეგ.

ამ სფეროში ევროპული მიდგომების ქართულთან შედარება, უსაშველოდ დიდ ცდომილებას იძლევა. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი ითვალისწინებს აზრის, ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მუკერძობლობის უზრუნველსაყოფად. როგორც ვხედავთ, „სასამართლოს ავტორიტეტის“ ლეგიტიმური მიზნის ნაცვლად, კონსტიტუცია აქცენტს აკეთებს „სასამართლოს დამოუკიდებლო-

ბაზე“. შემზღუდველი დებულების ამგვარი ფორმულირება კონსტიტუციის 1995 წლის თავდაპირველი რედაქციიდან მოყოლებული არსებობს და დღემდე არ შეცვლილა. ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს ევროპული კონვენციისა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების შედარებითი ანალიზი, ანდა იმის განსაზღვრა, რა იგულისხმება „სასამართლოს დამოუკიდებლობის“ დასაცავად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაში, რომელი ცნება ფარავს სასამართლოს კრიტიკასთან დაკავშირებულ შემთხვევებს – „დამოუკიდებლობა“ თუ „მიუკერძობლობა“ და სხვა. ეს შეიძლება სხვა კვლევის საგანი გახდეს.

ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ როგორც სასამართლოს კრიტიკის, ისე განხილვაში მყოფი საქმეების გაშუქების ნაწილში, საქართველოში არსებული შეხედულებები, განწყობები და რეალობა პრინციპულად განსხვავებულია იმისგან, რასაც კონვენცია გულისხმობს და მოითხოვს. არ გვეგულება არცერთი სხვა სფერო, რომელიც ადამიანს უფლებათა ევროპული კონვენციის ღირებულებებსა და სტანდარტებს შეეხება, სადაც ქართული რეალობა და სტანდარტები ამდენად აცდენილი იყოს საერთო ევროპულს.

RESTRICTIONS ON FREEDOM OF EXPRESSION FOR THE PROTECTION OF THE AUTHORITY AND IMPARTIALITY OF THE JUDICIARY

(Overview of the Strasbourg Jurisprudence)

Eva Gotsiridze

*PhD in Law, Professor of Saint Andrew the First-Called
Georgian, University of the Patriarchate of Georgia
Judge of the Constitutional Court of Georgia*

KEYWORDS: Court criticism, Freedom of expression,
Contempt of court

RESUME

This Article concerns the issue of conflict of two important values – freedom of expression, which is one of the pillars of a democratic state, and the public interest in protection of the authority and impartiality of the Judiciary. The Article demonstrates the particular importance of the mentioned topic for Georgia where the society, in general, has easily learned how to enjoy fundamental human rights and freedoms, however, it still has not developed the corresponding legal culture – to always keep in mind the corresponding obligations and responsibilities inherent to each fundamental freedom; and culture not to ignore other legitimate interests and seek the balance between the conflicting values.

The Article overviews respective case law of the European Court of Human Rights and the Court's approaches in two main directions – the scope of admissible criticism towards judiciary, mostly involving judicial authority issues, and the problem of media coverage of ongoing cases,

involving impartiality and other issues. There will be analyzed not only those judgments where the Court found justifiable the restrictions imposed on the freedom of expression for the purposes of the protection of the authority and impartiality of the judiciary, but also those ones where Court decided otherwise and found a violation of Art. 10 of the ECHR.

The Article includes almost all main concepts, factors, principles, **pro et contra** arguments used by the Court while assessing the balance reached by national authorities in the cases concerning court criticism, such as: doctrine of admissible criticism; difference between the criticism of the court system and the personal assault of particular judges; distinction between a healthy criticism from the outside forces that courts should benefit from, and classical cases of contempt of court; differences between value judgment and proof of facts; obligation to provide a minimum factual basis even for the value judgments; importance to maintain the authority of the judiciary and the public trust; specific issues of the court criticism

conducted by a lawyer considering their role in the administration of justice; judicial self-restraint and lack of power to respond to the criticism, etc.

In addition, relevant approaches and standards are provided with regard to the second issue, concerning media coverage of ongoing cases. The Author agrees with the ECtHR's position that parallel pseudo-trials of ongoing cases operated by newspapers or TV shows entails a great risk of violation of presumption of innocence, "prejudgment" of the cases, influence over the judges and juries and puts into question the public perception that courts are the only proper forums for resolving legal issues. Respectively, usurpation of the court's role by media should be avoided. The Article indicates that these approaches have roots in English Common law, according to which contempt of court might be committed by publication of material that has a potential to influence in advance the formation of a public opinion on legal merits of a pending case.

BIBLIOGRAPHY:

1. Black's Law Dictionary. 1991. Centennial Edition, (1891-19910 St. Paul, Minn West Publishing Co. (In English)
2. Bonello Giovanni, 2004. Histories of Malta – Reflections and Rejections, Volume V. (In English)
3. Dahl's Law Dictionery, 2001. Second edition, by Henry Saint Dahl; Daloz, Paris. (In English)
4. Costa jean-Paul, 2003. The European Court of Human Rights and its Recent Case-Law; Texas International Law Journal; Volume 38; #3. (In English)
5. P.van Dijk; G.J.H. van Hoof, 1998. Theory and practice of the European Convention on Human Rights; Kluwer Law international, Hague, – London-Boston. (In English)
6. R. A. Lawson & H.G. Schermers, 1999. Leading cases of the European Court of Human Rights (sec.ed). (In English)
7. D.G. Harris; M.O' Boule, C.Warbrick, 1995. Law of the European Convention on Human Rights; Butterwarths, London, Dublin; Edinburg. (In English)
8. Loucaides Loukis G., 2003. Freedom of Expression and the Right to Reputation; Mélanges offerts à Silvio Marcuss Helmons, Bruxelles. (In English)
9. Chavanne Albert, 1996. "Press – Diffamation" dans Juris – Classeur Pénal. (In English)
10. Pekkanen Raimo, 2000. Criticism of the judiciary by the Media, collection – Protecting Human Rights: The European Perspective,

- Studies in Memory of Rolv Ryssdal. (In English)
11. Rolston F. Nelson, 2012. CONTEMPT OF COURT IN SPECIALIZED COURTS; Judicial Continuing Education Workshop: Recusal, Contempt of Court & Judicial Ethics Hyatt Regency May 4. (In English)
 12. Nicolas Jacques, Conté, 1911. Contempt of Court; Encyclopaedia Britannica; volume 7. (In English)
 13. Wildhaber Luzius, 9 April 2002. Freedom of Expression under Article 10 of the European Convention on Human Rights, address, Istanbul. (In English)
 14. Gotsiridze E., 2008 Freedom of Expression within the Conflicts of Values (According to the European Convention on Human Rights and the Jurisprudence of Strasbourg Court); “GCI”ed. (In Georgian)

NOTES:

1. It is recognised that the freedom of expression plays a central role in protection of other Convention Rights. see: D.G. Harris; M.O’ Boule; C.Warbrick, 1995, Law of the European Convention on Human Rights; Butterworths, London, Dublin; Edinburgh: p. 372. (In English)
2. As Lawson Schermers refer, it would be unreasonable to consider rights as absolute; Any human right may step back, when in conflict with any other fundamental right. See: R. A. Lawson & H.G. Schermers, 1999, Leading cases of the European Court of Human Rights (sec. ed);. p. 37. (In English)
3. Bonello, Giovanni, 2004; Histories of Malta –Reflections and Rejections, Volume V, p.32. (In English)
4. D.G. Harris; M.O’ Boule; C.Warbrick, the work cited; გვ. 376. (In English)
5. The notion may cover court personnel as well, since infringement of their personal reputation may seriously damage the Judiciary as an institution. (In English)
6. Prager and Oberschlick v. Austria, judgment of 26 April 1995, Application No. 15974/90; see: Karpetas v. Greece, Application no. 6086/10, § 68, Judgment of 30 October 2012; and Di Giovanni v. Italy, no. 51160/06, § 71, 9 July 2013). (In English)
7. Morice v. France, judgment of 23 April 2015, § 131. (In English)
8. Janowski v. Poland, Judgment of 21 January 1999; [GC], N25716/94, § 33, ECHR 1999-I; Nikula v. Finland, Judgment of 23 March 2002, Application No. no. 31611/96, § 48. (In English)
9. Saday v. Turkey, Judgment of 30 March, 2006; Application No. 32458/96. (In English)
10. Skalka v. Poland, Judgment of 27 may, 2003, Application No. 43425/98. (In English)
11. Kyprianou v. Cyprus, judgment of 15 December, 2005, [GC], N73797/01, § 174, ECHR 2005). Grand Chamber Judgement. (In English)
12. Jerusalem v. Austria, judgment of 27 February 2001; no. 26958/95, § 43, ECHR 2001-II. (In English)
13. Schöpfer v. Switzerland, judgment of 20 May 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-III, pp. 1052-53, §§ 29-30. See also cases: Casado Coca v. Spain, 24 February 1994, Series A no. 285-A, p. 21, § 54; De Haes and Gijssels v. Belgium, 24 February 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-I, p. 234, § 37. (In English)
14. Morice, §132; Schöpfer , §§ 29-30. Nikula, § 45. (In English)

15. Morice, § 134, 139). (In English)
16. French – "Outrage", see: Dahl's Law Dictionary, second edition, by Henry Saint Dahl; Daloz, Paris, 2001, see: 236. (In English)
17. See: Schöpfer v. Switzerland, Judgment of 20 May 1998; Reports, 1998-III. (In English)
18. Barfold v. Denmark, Judgment of 22 February 1989; Sries A n o 149, §§ 34-35. (In English)
19. Prager and Oberschlick v. Austria, Judgment of 26 April 1995, Application No. 15974/90. (In English)
20. Peruzzi v. Italy, Judgment of 30 June 2015; Application no. 39294/09. (In English)
21. see: Loucaides Loukis G.; Freedom of Expression and the Right to Reputation;, Mélanges offerts à Silvio Marcuss Helmons, Bruxelles, 2003; 88. 202. (In English)
22. Saday v. Turkey, Judgment of 30 March, 2006; Application No. 32458/96. (In English)
23. Saday, §§ 34, 35. (In English)
24. Saday, § 36. (In English)
25. Skalka v. Poland, judgment of 27 may, 2003, Application No. 43425/98. (In English)
26. Morice v. France, Judgment of 23 April 2015. (In English)
27. „Contempt of Court“ is a common law doctrine that entitles courts with right to impose sanctions (through summary jurisdiction), inter allia upon those who try to influence the process of administration of justice. (In English)
28. For example, see House of Lords, Attorney-General v. Times Newspaper Ltd. *1974+ AC 273. (In English)
29. Rolston F. Nelson, CONTEMPT OF COURT IN SPECIALIZED COURTS; Judicial Continuing Education Workshop: Recusal, Contempt of Court & Judicial Ethics Hyatt Regency May 4, 2012 <https://ccj.org/wp-content/uploads/2013/05/CONTEMPT-OF-COURT>. (In English)
30. It is confirmed by travaux préparatoires of ECHR. (In English)
31. the Sunday Times (no. 1), Judgment of 26 April 1979 (Application no. 6538/74); § 55. (In English)
32. the Sunday Times (no. 1), § 55. (In English)
33. Worm v. Austria, Judgment of 29 August 1997, Reports; 1997-V). §50. (In English)
34. The Sunday Times (no. 1), § 63. (In English)
35. The Sunday Times (no. 1), § 59. (In English)
36. The Sunday times v. The United Kingdom, (no. 1), Judgment of 26 April 1979, Application no. 6538/74. (In English)
37. the Sunday Times (no. 1), § 63. (In English)
38. Worm v. Austria, Judgment of 29 August 1997 (Reports 1997-V). (In English)
39. Bedat v. Switzerland, judgment of 29 March 2016 (Application no. 56925/08). (In English).